№ 185. აგვისტოს 25, შაბათი. 1866—1884 აგვისტოს 25, შაბათი. № 185.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე [illegible] განცხადება მიიღება ქართულს, [illegible] ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავლ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

„დროების“ ფასი სექტემბრის 1-დამ წლის დამლევამდე 4 მანათი.

ოცს წელზედ მეტია, რაც მე ვყიდი ქუთაისში ხე-ტყის მასალას და არავისი არა მმართებს-რა. ეხლა მე მივდივარ სამზღვარს გარედ. ქ. ქუთაისს სცხოვრობს ჩემის სახელის, მამის სახელის და გვარის ებრაელი და აგრეთვე არა მცოდნე წერა-კითხვისა, როგორც მე. შინიცობაა, რომ რამე უგულისხმოება და ან სიყალბე აღმოჩნდეს, ამის მიხედვით ვიწვევ ყველას, ვისაც ჩემთან რამე საქმე აქვს და ვითხოვ განაცხადოს თვისი მოთხოვნილებანი ჩემდამო ერთის თვის განმავალობაში დღეიდან ქუთაისის საქალაქო სამსჯავროს (სუდის), გინა ნოტარიუსის საშუალებით. ამასთანავე ვაცხადებ, რომ არავინ, ჩემთან საქმის მქონემ, არ მიაქციოს ყურადღება ვადას ჩემთა პირობათა, თუ ვისმე მაგეთი კი აქვს, რადგანაც მე ვიღებ ჩემს თავზე ეხლავე შევასრულო მაგეთი პირობები.

(4—4) აბრამა მოშას-ძე ელიგულაშვილი.

## სოფლის სამოსამართლო წესის ნაკლულევანება.

თბილისი, აგვისტოს 25-ს.

ყოველ სოფლის საზოგადოებას, რაც უნდა მცირე იყოს იგი, ჰყავს თავისი მამასახლისი და სოფლის მოსამართლენი. მოსამართლენი წარმოადგენენ სამართალს, მამასახლისი აღმასრულებელ უფლებას და ყველა ამ თანამდებობის პირს ჰყავს თავისი კანდიდატი, ან „კანტატი“, როგორც ჩვენი ხალხი მათ უწოდებს.

სასოფლო დებულებამ, შემოღებულმა შემდეგ ბატონ-ყმობის გადავარდნისა, უეცრად დაჰბადა ჩვენს ნიადაგზე ამდენი თანამდებობის პირნი. პატარა მიზეზის მაზრაში სოფლის საზოგადოებათა რიცხვი ას-ორმოცდა-ათამდე ადის, და თქვენ ჩამოსთვლით ას-ორმოც-და-ათ მამასახლისს, ას-ორმოც-და-ათს „კანტატს“, სამასიოდე მოსამართლეს...

ეჭვი არ არის, რომ ჩვენს ეხლანდელს მდგომარეობაში ძნელად იპოვით ამდენს სამოხელეო პირს, რომელთაც შეეძლოთ თავიანთ თანამდებობის გაგებულად შესრულება და ამ ზნეობის საფრხისაგან შეუმწიკვლელად გამოსვლა...

ამის გამო ხშირად შეხვდებით შემდეგს სურათს ჩვენს სოფლებში: ქათმის ქურდობისათვის მოჩივარი მომრიგებელ მოსამართლესთან მიდის ხანდისხან ორმოც-სამოც ვერსზე, თუმცა სოფლის სასამართლოს ნება აქვს ათ თუმნამდე საქმის გადაწყვეტისა. მოჩივარი ჰკარგავს თავის შრომასა და ხარჯს, ოღონდ პირუთვნელი და უტყუარი სამართალი ეღირსოს, რასაც არ მოელის იგი თავის თანა-სოფლელთაგან. თუნდა მოსამართლენი სინიდისიანნი იყვნენ და წესიერად გადასწყვიტონ საქმე, ბოლო არ მოელება მას, თუ მამასახლისის პატიოსნება და სინიდისი შეფარდებული არ არის მოსამართლეთა სინიდისთან და პატიოსნებასთან. და თუ პირველი გარემოება კიდევ მოსალოდნელია სადმე, ის კი თითქმის შეუძლებელია, რომ ნახოთ სოფელი, რომელშიაც ყველა მოხელენი პატიოსანნი და თან სინიდის-შეწყობილნი იყვნენ.

ერთი სხვა ფორმალური მხარეც უშლის, რომ სოფლის სასამართლომ ჯეროვანად იმოქმედოს და დააკმაყოფილოს მოთხოვნილება მოჩივარ-მოპასუხისა: თუ გლეხს სხვა სოფლის საზოგადოების პირთანა აქვს საქმე, რაც უნდა უბრალო იყოს ეს საქმე, მაინც მომრიგებელ მოსამართლესთან უნდა შეიტანოს საჩივარი, რადგან სოფლის სასამართლოს ნება აქვს გადასწყვიტოს მხოლოდ ის საქმეები, რომელნიც იმ სოფლის საზოგადოების წევრთ შეეხება და სხვა საზოგადოების წევრისაგან ვერც საჩივარს მიიღებს, ვერც პასუხს. ცხადია ყველასათვის, თუ ეს წესი რა დაბრკოლებასა ჰბადავს გლეხთა-შორის დამოკიდებულებაში და როგორ უძნელებს სამართლის ძიებას იმ პირთა, რომელნიც ფორმალურად სხვა-და-სხვა საზოგადოებას ეკუთვნიან, მაგრამ ნამდვილად კი ახლო მეზობელნი არიან ერთმანეთისა.

თუ როგორ შეიძლება სოფლის სასამართლოს ჯეროვანს სიმაღლეზედ დაყენება, ამაზედ საშემდეგოდ მოვილაპარაკებთ.

---

## შინაური ქრონიკა.

— ჩვენა გვქონდა შემთხვევა გვენახა ბატ. ბენაშვილისაგან ნოტებზედ გადაღებულნი გალობანი და სახალხო სიმღერანი, რომელთაც ბ. ბენაშვილი დაბეჭდვას უპირებს. მისგან შედგენილი ზოგიერთი ხმა ამ ერთი წლის წინად ქუთაისში იგალობეს სასულიერო სასწავლებელში მოწაფეთა, რომელთა გალობის მასწავლებლადაც თვითონ ბ. ბენაშვილი არის.

უნდა სწორედა ვსთქვათ, რომ ეს ხმები დიდის ხელოვნებით და სისწორით არიან გადაღებულნი და საზოგადოება მათს გალობას და სიმღერას აღტაცებით მიეგება.

ბ. ბენაშვილს გადაუღია მთელი წირვის გალობა როგორც გურულს, აგრეთვე კახურს კილოზედ და მოუგროვებია სხვა-და-სხვა ადგილებში ხალხური სიმღერები. სხვათა შორის ნოტებზე გადაღებული „ქუჩხა ბედნიერი“, «ხასან-ბეგური» (ქახური)

---

## «დროების» ფელეტონი, აგვისტ. 25

### ხევის ბერი

გოჩა.

(მოთხრობა *)

### VI

ვინ იცის, შეყვარებულთ ალერსი სადამდის გაგრძელდებოდა, თუ ერთს მოულოდნელს შემთხვევას არ დაეშალა. ერთს მაყარს მეტად შესციენოდა და მოეწადინა არაყით გათბობა, ამისათვის შეეყენებინა ცხენი და მარხილს ელოდა, რომელშიაც ტიკჭორები ეწყო.

როდესაც მარხილი გაუსწორდა, დაინახა, რომ ონისეს, რომელიც თითქოს სიცივე მოჰფარებოდა, თავი ნაბადში ჩაეყო. ამ გვარი საქციელი მთის კაცს არ მოეწონა, რადგანაც მამა-კაცს სიმხდალე დედა-კაცისთვის არ უნდა ეჩვენებინა: ეს, მთიელთ შეხედულობით, სირცხვილიც იყო და დამამცირებელიც და ამხანაგის საქციელი კი დანარჩენების სახელსაც იმდენად შეეხებოდა, რამდენადაც თითონ მომქმედს.

ამისთვის მაყარმა გადუქნია ონისეს მათრახი და თუმცა შეხუმრებით, მაგრამ საგრძნობლად უთხრა:

— რას სჩადი, გუგრიანო, თუ არ გაიყინე?

ონისე შეკრთა და გაქრქოლდა. იმან წამოიხედა და ჯერედ კიდევ წარსულის წუთებით დატყვევებულს თავის-თავისთვის ანგარიში ვერ მიეცა. პირველში ისა ჰგრძნობდა მხოლოდ, რომ მას დაურღვიეს სიტკბოება, დაუშალეს წუთის ბედნიერება, მაგრამ რადა, ვინა?—ამაში ანგარიში ვერ მიეცა.

მაგრამ ამ გვარს მდგომარეობაში მხოლოდ ერთს წუთს იყო. ონისე ჩქარა გონს მოვიდა და აშკარად დაინახა შეუწყალებელი ჭეშმარიტება, რომელიც უსპობდა არამც თუ ამ წუთის სიამოვნებას, არამედ მომავალს მოსვენებაზედაც-კი იმედს აკარგვინებდა და ცივი ოფლი დაასხა. წუთის წინ ის იყო შეპყრობილი მხოლოდ ერთის გრძნობით: მას უყვარდა ანგარიშ-მიუცემლად, ხარკს აძლევდა ამ ძალას; მაშინ ყველაფერი გადავიწყებოდა, ყველაფერი: ხალხიც, მთის მოვალეობაც, დებულებაც, თვით მოაზრებაც და მარტო მთრთოლვარე გულის ფართხალს მისცემოდა, მით უფრო სასიამოვნოს, რომ ამითვე პასუხს აძლევდენ;—ეხლა-კი ის იყო კაცი, რომელიც სჯიდა, ანგარიშს აძლევდა თავის მოქმედებაში და სწონავდა თავის მდგომარეობას.

ონისემ აშკარად დაინახა შეცდომა, აშკარად იგრძნო თავის წადილის აღსრულების შეუძლებლობა და სინანულის ნაპერწკალმა მწვავად გაჰკრა გონებაში:—„მაშ ტყუილად თრთოდა მისი გული სანეტარო მომავალის მოლოდინით?... მაშ ტყუილად ენთებოდა და მოუსვენრად ტოკავდა მისი გული? ამაოდ სტყუვდებოდა და ამ გრძნობითვე აღელვებულს ძიძიასაც ტყუილად იწვევდა საალერსოდ?“.... ეს კითხვები სწრაფად ებადებოდენ თავში, მსწრაფლადვე სცვლიდენ ერთმანეთს და ერთს გადაწყვეტილებამდე მიდიოდა, ერთი პასუხი შეეფეთებოდა და ყურში მწარედ თითქოს ვიღაცა ჩასწივლებდა: «ტყუილად იკლავ თავს».

— ბიჭაუ, რაი მოგსვლია, დამთვრალი თუ არა ხარ? გასწყვიტა სიჩუმე მაყარმა, რომელსაც ონისე გაშტერებით შეჰყურებდა.

— ჰა, რაი?—წარმოსთქვა ონისემ, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გაშორებოდა გულში და გონებაში ჩაჭედილს გრძნობას.

— ავად თუ არა ხარ? რას სჩადი?

— არ ვიცი, ღთის მადლმა!.. ისე უგუნებოდ რასმე შევიქენ.

მაყარი მიუახლოვდა მარხილს, გადაიზნიქა ცხენიდან და პირ-და-პირ პირისახეში შეხედა ონისეს, რომელმაც თავი იქით მიიბრუნა და გაბრაზებით წარმოსთქვა:

— რას მიყურებ, რაი გინდა ჩემგან?

— არც რაი,—გაიკვირვა მაყარმა და დაუმატა:—მინდოდა მენახა, სიცხე თუ არ გქონდა, გაწითლებული თუ არ იყავი?

— ღამეში რაი უნდა დაინახო, ღთის მადლსა?—იმავე კილოთი უთხრა ონისემ და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა:—სიცხეცა მაქვს, თავიცა მტკივა და მიბრუვდება.

მაყარმა ისე შეხედა, თითქოს არ უჯერებდა, უნდოდა რაღაც ეთქვა,

*) იხილე «დროება» № 174.

სუფრული, «შაელეგა», „მკის სიმღერა“, „სუფრული“ (ძველებური სიმღერა და ხმა) „დიან-ბეგო, ქალს გიქებენ», „მაყრული“, «თეთრო ბატო», «აეთანდილ გადინადირა», «ნანა» და სხვა.

= ჩვენ შევიტყეთ, რომ არტისტკა დ. მ. ლეონოვისა ქუთაისიდგან დაბრუნების შემდეგ სადაც ამ დღეებში მიდის, კიდევ ერთს სალამოს გამართავს და წინანდელს კონცერტისაგან მით იქნება ეს უკანასკნელი განსხვავებული, რომ სალამო თეატრში იქნება გამართული და ზოგიერთს ადგილებს სხვა-და-სხვა ოპერიდგან შესაფერ ტანისამოსში—იმღერებს.

— თბილისის «საადგილ-მამულო» ბანკი მასზედ დარჩენილს სახლებს ნელ-ნელა ჰყიდის. უკვე გაიყიდა ოთხი შენობა. დარჩენილია კიდევ რამდენიმე შენობა, მაგრამ უმეტესს მათგანს უკვე ევაჭრებიან. არწრუნისეულს ქარვასლას, თუ საზოგადოებამ გასყიდვა მოიწადინა, მუშტარი ჰყავს და იმედი არის, რომ გასყიდვით ბანკი ზარალს არა ნახავს.

= ზურიიდამ გვწერენ, რომ სურების საზოგადოებას ზოგიერთა მოწინავე პირთა მეცადინეობითა და ჩაგონებით მოუსურვებია სკოლის გახსნა, მაგრამ უკიდურესი სიღარიბე, რომელშიაც ეს მთებით შემოზღუდული საზოგადოება იმყოფება, ძალიან ხელს უშლის, რომ თავიანთი განზრახვა და სურვილი მალე შეისრულოსო. «ძალიან კარგი იქნება—გვწერს კორესპონდენტი, გაიჭირვებდეს როგორმე სოფელი სურები და დაადგენდეს განაჩენს «წერა-კითხვის საზოგადოების“ სახელზე, ცოტას თვით გადასდებდეს ამ საგანზე და დანარჩენს შემწეობას მოსთხოვდეს «წერა-კითხვის საზოგადოებას», რომელიც, იმედია, არ დაიშურებს ამას ისე როგორც არ იშურებს იგი სხვა თავის სკოლებისათვის.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ, თუ კი სურების საზოგადოება დაიწყობს საქმეს, შეადგენს განაჩენს და მერე მიმართავს ხსენებულს «საზოგადოებას», უკანასკნელი დიდის სიამოვნებით მიეგებება ამ საქმეს. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ თვით სოფელმა ამ შემთხვევაში სამასი მანათი მაინც უნდა დაიდოს წელიწადში სკოლის ხარჯად, თუ უნდა, რომ „საზოგადოებამ“ დანარჩენი შემწეობა, მებელით, წიგნებით, სასწავლო ნივთებით და სკოლის აშენებაში მონაწილეობის მიღებით დახმარება აღმოუჩინოს ღარიბ სოფლის საზოგადოებას.

ამას გარდა, როგორც მოვიხსენეთ განაჩენი უნდა იქმნას შედგენილი სწორედ ისე, როგორც მისი ნიმუში იყო დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში («დროება» № 121, 1881 წ.)

## რუსეთი

—

ბარდაწყვეტილია პეტერბურგის გუბერნიის ერთს ქერმათაგანზე აგვისტოს უკანასკნელს რიცხვებში სცადონ რქიანი საქონლის აცრა ციმბირის ჭირით იმ წესით, რა წესითაც პასტერი ჰქადაგებს. როგორც ისმის, ამ ცდაზე დასასწრებლად მოიწვევენ რამდენსამე მეურნეს (მოს. უწყებ.).

— მკითხველებს ეხსომებათ, რასაკვირველია, ამას წინად ოდესიდამ მოსული და ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ტელეგრამა, რომელიც გვაუწყებდა, რომ ვაჭრის ქალმა კალიუჟნისამ რევოლვერი ესროლა ჟანდარმების პოლკოვნიკს კატანსკის, მაგრამ ააცდინაო. ამის შესახებ შემდეგს ვრცელს ცნობას ვკითხულობთ გაზ. «ნოვოროსიის ტელეგრაფში»: «დამნაშავე კალიუჟნისა არის მცხოვრები ხარკოვის გუბერნიისა, სოფ. ახტირკისა. სწავლა მიუღია ხარკოვის გიმნაზიაში. ოდესაში კერძო გაკვეთილები ჰქონდა; თითონაც დაიარებოდა სახლში მოწაფე ქალებთან და თვის სადგურშიაც ასწავლიდა. ოთახში აძლევდა სახლის პატრონ ქალს თვეში ექვსს მანეთს და საჭმელ-სასმელზედ 15 კაპ. ხარჯავდა დღეში. იმ დღეს, რა დღესაც განიზრახა კატანსკის მოკვლა, კალიუჟნისა მივიდა იმის სადგურში, რომელიც ზემო სართულში იმყოფება, გაიარა წინა ოთახი და კაბინეტში შევიდა. ბ. კატანსკიმ სთხოვა კრესლოზედ დაჯდომა ფანჯარასთან და თვითონაც გვერდით მოუჯდა; მათ შუა პატარა მრგვალი სტოლი იდგა. კალიუჟნისა მხიარულად მოჰყვა ლაპარაკს და სხვათა შორის ჰკითხა კატანსკის—პოლიციის ზედამხედველობიდგან როდის გამანთავისუფლებთ და ოდესიდგან გასვლის ნებას მომცემთ, თუ არაო. ბოლოს კალიუჟნისამ ჩაფიქრებული სახე მიიღო და მრისხანედ დაუწყო კატანსკის ყურება. უკანასკნელმა მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება. ამ დროს კალიუჟნისამ ამოიღო რევოლვერი. ბ. კატანსკი მაშინათვე სწვდა და ორივე ხელი დაუჭირა, მაგრამ კალიუჟნისამ მაინც ესროლა, თუმცა ვერ მოარტყა კი. პირ-და-პირ შუბლში უმიზნებდა თურმე რევოლვერს. კალიუჟნისა დაიჭირეს, და მაშივათვე საპყრობილეში ჩასვეს და იქ უთქვამს, იმიტომ განვიზრახე კატანსკის მოკვლა, რომ ის ძლიერ მავნე კაცია ჩემთა თანამოაზრეთათვისაო. კალიუჟნისა 1882 წ. დაატუსაღეს ოდესაში [illegible], სადაც Народная воля იბეჭდებოდა. იქ მოსამსახურე გოგოდ ყოფილა იგი. ოდესაში და აგრეთვე პეტერბურგში ერთი წელიწადი იყო ტუსაღად და შემდეგ გაანთავისუფლეს. შეხედულობით უფრო თათრის ქალსა გავს, ვიდრე რუსის ვაჭრის შვილსა. მისი წვრილი შავი თვალები და ბაგეების მუდმივი ფაციცება უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს კაცზედ. ბუშინ ექვს ნაირად გადაიღეს მისი სურათი ვაინშტეინის ფოტოგრაფიაში, სადაც ლახვრული ეტლით მოიყვანეს იგი. დიდ-ძალი ხალხი ეხვია ფოტოგრაფიის კარებს».

— «პეტერბურგის უწყებებში» დაბეჭდილმა პენზის გუბერნატორის ა. ა. ტატიშჩევის სიტყვამ ბევრს სოფლის საზოგადოებას შეადგენინა განაჩენები, რომელთა ძალითაც სუყველა ვალდებულია ბავშვები საყდარშიატაროს. ზოგიერთა საზოგადოებათ კიდევ დაადგინეს დასაჯონ ხოლმე ბავშვები მშობლებისა და უფროსების გაუგონლობისათვის (მოსკ. უწყებ.).

## უცხოეთი.

—

**საფრანგეთისა და ჩინეთის საქმე.** იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც აგვისტოს 23 (ახ. სტ.) მოუხდათ ფრანცუზებს და ჩინელებს ერთმანეთში მდ. მინზე, გაზ. «ტაიმსს» შემდეგი ტელეგრამა მოსვლია ფუ-ჩე-უდგან თავის კორესპონდენტისაგან.

«ფუ-ჩე-უ აგვისტოს 23. ზარბაზნების სროლა გულის ასამღვრევი საქმე იყო. ორი გემის გარდა, ჩინეთის ფლოტილია, რომელიც ამ ცო-

---

მაგრამ თავ-შეკავებულმა ცხენს მკერდზედ მათრახი-ღა გადაჰკრა. ეტყობოდა მას გონებაში რაღაცა აზრმა გაურბინა, რადგანაც სიცივეც გადაიწყებოდა და არაყიც, რომლის დასალევადაც აქ მოვიდა.

კარგა ხანმა გაიარა საერთო სიჩუმეში, ყველა თავის გულის-თქმას ჩაბრუნებოდა, თავის საკუთარს აზრებს დაჰკვირვებოდა და რაღაცა უცნაურს დუმილში ჩავარდნილიყო.

ისინი ამ მდგომარეობაში იყვნენ, როდესაც ჰაერში გაისმა მხიარული სიმღერის ხმა და მას მოჰყვა ლექსი:

გაუსვი და გამოუსვი,
კითომ ჭიანურიაო;
მეზობლის ცოლს ხელს ნუ ახლებ,
ისიც შინაურიაო.

ამ სიტყვებმა მწარედ გაკენწლეს ონისეს გული, რომელსაც სიმღერა თან-და-თან უახლოვდებოდა, რადგანაც წინ წასული მაყრები შემდგარიყვნენ და მარხილების მოლოდინში ლხინი დაეწყოთ.

გაიარა რამდენიმე წუთმა და გამოჩნდენ ცხენოსნები, რომელთაც მარხილი მიუახლოვდა.

ყმაწვილი მაყრები ხუმრობდენ ერთმანეთში, ეხუმრებოდენ ონისესაც, მაგრამ იძულებულნი იყვნენ თავი დაენებებინათ, რადგანაც პირველად მოსულმა მაყარმა შეატყობინა, რომ ონისე ავად არის და იმათი ხუმრობისა არა სცხელა.

ამისთვის მაყრები დაშოშმინდენ, მაგრამ მარხილს-კი მაინც არა შორდებოდენ.

მხიარულება ერთბაშად შესწყდა და მის მაგიერ რაღაცა ქმუნვით სავსე სიჩუმე ჩამოვარდნილიყო; ხევში წვნიკი თოვლი განუწყვეტლად მოჰქროდა ქვენა-ქარისგან გამოტაცებული და მთლად ათეთრებდა ნაბდიანს მგზავრებს.

ამ გვარად მიდიოდენ გაჩუმებული მაყრები, გულ-ჩახუტული და ჩაბნელებული ხელის-მომკიდე და მიჰყავდათ გამოუცდელი ქალი, რომლის გულსაც ნამდვილი სიყვარული პირველად ეგრძნო, მის სიტკბოება ნახევრად გამოეცადა და ის-კი არ იცოდა, მისი მომავალი რას შეამთხვევდა.

რამდენიმე წუთი და ხშირს ნისლში გაიბჟუტა შუქმა და შენობების სურათები ბუნდად გამოჩნდა. კიდევ წუთიც და ყველამ შეამჩნიეს, რომ სოფელს მიახლოვებულან. მარტო ონისე იჯდა გაფითრებული, თავ-დაღუნული და მწარე ფიქრებისგან წაღებული ვერაფერს ამჩნევდა.

მაყრებმა იგრძნეს, რომ მაყრიონს ასე ჩუმად მისვლა არ შეჰფეროდა, არც იქაურს ჩვეულებას და არც იმათ სიყმაწვილკაცეს და ამიტომ დასჭყივლა ერთმა, გავარდა თოფი და მეორე გაქანდა მახარობლად. ყველა შეინძრა, აღელდა, სიცოცხლე გამოიჩინა. ჰაერში გაისმა სიმღერა და ყიჟინა, მიმავლებს სიცოცხლე დაეტყოთ.

გამოფხიზლდა ონისეც, მაგრამ ის სრულიად განშორებოდა დანარჩენებს, იმისმა გულმა სრულიად სხვა იგრძნო. იმან იცოდა რომ სოფელში მისვლისათანავე ჰკარგავდა სატრფოს, რომლის გამოუცდელობაც და სირცხვილიც ხალხის ჩვეულების წინააღმდეგ ვერ წაიყვანდა და მასთან ერთად დაჰკარგავდა მოსვენებასაც...

## VII

აგერ შევიდენ სოფელში, მიუახლოვდენ საყდარს, რომლის წინაც იდგა ვიღაც წამოსადევი მოხუცი, გათეთრებული, როგორც თოვლი და მხიარულად შეჰყურებდა მომავალთ. იმისი კეთილი სახის გამომეტყველება დახაზული იყო რაღაცა გვარის ხაზებით, რომელნიც პირველსავე შეხედვაზედ პატივისცემას აგრძნობინებდათ და ჰკვიანი თვალები გულ-კეთილობის გარეშე, მბძანებლობით გამოიყურებოდენ.

გათეთრებული, ლაზათიანის შეხედულებით, მბრძანებელის მიხვრა-მოხვრით და მედიდურის, მტკიცე სახის გამომეტყველებით ელოდა ხევის ბერი ბოჩა, მმართველი, მამა თავის ხალხისა, ახალგაზდებს. იმას პირველს უნდა დაელოცა მექორწინენი და მშობლიურის ლმობიერებით ესურვა მათი ბედნიერება. ონისემ შეხედა თავის მამას, რომლის წინაშეც მთელი ხეობა თავს იხრიდა და რომლის სიტყვაც გადაუბრუნებლად სრულდებოდა და ფერმა მეტად გადაჰკრა, პირი მომეტებულად გაუშრა.

მარხილი შესდგა, მაგრამ ონისე იქამდის დაფანტულიყო, რომ გადმოსვლაც-კი ველარ მოეხერხებინა, სანამ მამამ არ დასძახა:

— გადმოხე, რაღას ელი?.....

ტა ხანში გამოვიდა მდ. მინის ბუხტაში, მთლად შეიმუსრა. ფრანცუზებმა ის გემებიც კი არ შეიწყალეს, რომელნიც ყუმბარებისაგან დაინგრენ და რომელთაც წყალი სძირავდა: თითქმის მაშინაც კი რამდენიმე საათის განმავლობაში ესროდენ ფრანცუზები ყუმბარებს, როდესაც ამ გემების ზარბაზნები ჩაჩუმდენ. ადმირალმა კურბემ გამართა სროლა შუა-დღის ორ საათზე. ჩინელებმაც მაშინვე პასუხი მისცეს. არსენალის ბატარეიებმაც მიიღეს მონაწილეობა ბრძოლაში, მაგრამ უსარგებლოდ. თერთმეტი გემი, რომელნიც შეადგენდენ ჩინეთის ფლოტილიას, იყვნენ უმეტეს ნაწილად მსუბუქი ტრანსპორტები, რომელთაც დანიშნულება იყო მდინარეში ცურვა და ნაპირების დაცვა: ისინი სწორედ სათამაშოები იყვნენ. ფრანცუზებს ჰქონდათ რვა კარგად დაიარაღებული გემი და ერთიც ჯავშნოსანი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ბრძოლაში მალე სროლის დაწყების შემდეგ. რამდენიმე ჩინეთის პატარა საომარი გემი გულადად იბრძოდა თხუთმეტი წუთის განმავალობაში, მაგრამ უსარგებლოდ კი, შემდეგ მათზე მყოფი ჯარის კაცნი წყალში გადაცვივდენ. სწორედ რომ ვსთქვათ, ბრძოლა მხოლოდ შვიდ წუთს გაგრძელდა. ფრანცუზების გემებმა, რომელნიც ძლიერ აღემატებოდენ ჩინეთისას დაიარაღებით, ჩააჩუმეს უკანასკნელნი, მაგრამ თითონ კი დიდხანს არ დაანებეს სროლას თავი. ეს ბრძოლა კი აღარ იყო, საზიზღარი ჩეხა ჟლეტა იყო. ყველა ამ აზრისაა, ვინც დაესწრო ამ სანახავს. ორი ჩინეთის პატარა საომარი გემი, რომელნიც ზარბაზნებით იყვნენ დაიარაღებულნი, კარგად იბრძოდენ; ერთი მათგანი დაასძირა წყალმა ერთი ინგლისელი გემის მახლობლად. ფრანცუზები 5 საათამდის ესროდენ არსენალს, მის ახლო მდებარე შენობებს, ციხეებს, და თითქმის სოფლებსაც კი, თუმცა ნაპირის ბატარეიებმა სამ საათზედვე დაანებეს სროლას თავი.

ზოგიერთა საფრანგეთის და ჩინეთის გემები ესროდენ ერთმანეთს ზარბაზნებსა ინგლისის გემების ახლო. მე ერთს უკანასკნელ გემთაგანზე ვიყავი. სამი ცეცხლ-მოკიდებული პატარა გემი მიცურავდენ იქით, საითაც ქარი ჰქროდა. ერთმა მათგანმა, რომელსაც საფრანგეთის დროშა ჰქონდა, ჩვენს ახლო გაიარა. შესაზარი სანახავი იყო მდინარე, რომელიც მოფენილიყო მკვდრებით და დაჭრილებით. ბევრი დაჭრილი ინგლისელებმა გადაარჩინეს. ჩემს მეტი სხვა გაზეთის კორესპონდენტი არ დასწრებია ამ საქმეს.“

—

**საფრანგეთი**. ამას წინად ბეზანსონში ოქროთი მაგალი გემის მამგონს შუქრუას დაუდგეს ძეგლი. ცერემონიის დროს რადიკალურ დეპუტატს ბოკიერს სიტყვა წარმოუთქვამს, რომელსაც დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია. თუმცა ცერემონიის დროს ისეთი პირებიც იყვნენ თურმე მიწვეულნი, როგორც, მაგ.—კორპუსის კომანდირი ველფი, დივიზიის უფროსი ლამი, გენერალი როშარი და სხვა ოფიცრები, მაგრამ ამ გარემოებას ბოკიერი სრულიადაც არ შეჰპოვებია და თავის სიტყვაში წინააღმდეგი სიტყვები უხმარია: რასაკვირველია, ასეთი სიტყვები სამხედრო წრეში უკმაყოფილებას დაჰბადავდენ და ეს უკმაყოფილება უფრო გაცხოველებულა მაშინ, როდესაც ბოკიერი შუქრუაზე ალტაცებით ლაპარაკობდა და ამბობდა, რომ ეს უკანასკნელი რელიგიური გრძნობის მტერი იყოვო. ამ უკანასკნელმა სიტყვებმა შუქრუას ოჯახის ზოგიერთა წევრებშიაც დაბადა უკმაყოფილება და გამოიწვია პროტესტი. ბოკიერის სიტყვას მით უფრო აქვს მნიშვნელობა, რომ წინადვე დაუწერია და, მაშასადამე, განძრახ მოუნდომებია სამხედრო ნაწილის შეურაცხება. ცერემონიის შემდგომ გენერალი ვოლფი მივიდა ბოკიერთან და უთხრა თურმე: „ხალხის სიჩუმე მეფევებს ფრთხილად ამყოფებს; თქვენ, მოწყალეო ხემწიფევ, დღეს უნდა დარწმუნებულიყავით, რომ სიჩუმე ხან-და-ხან კერძო პირებსაც გაათხილებს“. ბეზანსონის მერის დელავეს და ქალაქი დუბსას პრეფექტის ლევალიანის ყვედრებაზე, ბოკიერმა მათ კლერიკალები უწოდა თურმე, თუმცა ლევალიანი ურიის სარწმუნოებისა არის. დელაველმა კი მიუგო: «მე არ ვიცი, კლერიკალი ვარ, თუ სხვა რამე,—ამას კი გეტყვი, რომ ყოველთვის ზდილობას მივდევ და დღეს კი იძულებული ვარ მოგაგონოთ, რომ თქვენ ზდილობას გადახვედით».

იმ დღეს სალამოთი ბანკეტი იყო, რომელზედაც ბოკიერი არ დაესწრო. ამ ბანკეტზე საზოგადო მუშაობის მინისტრმა, რენალმა, სთქვა სიტყვა, რომელშიაც საფრანგეთის ჯარს აქებდა. ამ სიტყვაზე გენერალმა ვოლფმა მიუგო: «თუ საფრანგეთი სხვა ევროპის სახელმწიფოების წინ დაიჭერს პირველს ადგილს, თუ კიდევ მიახწევს საკუთარი პოლიტიკის მოქმედების თავისუფლობას და დამოუკიდებლობას ამისათვის საფრანგეთი არმიის მადლობელი უნდა იყვეს, იმ არმიისა, რომელიც სასტიკი დისციპლინით აღზდილა და რომელიც იფარავს საფრანგეთს გარეშე და შინაური მტრებისაგან». ორივე სიტყვა ოვაციებით მიუღია მთელს კრებას.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

აგვისტოს 23-ს

**ვენა**. წუხელის დაატუსაღეს რამდენიმე ანარხისტი და უპოვეს სახელ-და-ხელო პრესი და მრავალი რევოლიუციური ბროშიურა.

აგვისტოს 24-ს.

**პარიჟი**. აქ ასე ჰფიქრობენ, რომ ომიანობა ფორმოზაზედ მხოლოდ სექტემბრის ბოლოს დაიწყება, როდესაც ახალი ჯარი მივა; იმ დრომდის კი ადმირალი კურბე ეცდება გაანადგუროს ჩინეთის ფლოტის გადანარჩენებული ნაწილი.

**რომი**. ხოლერიან ადგილებში სექტემბრის 3 (ახ. სტ.) ავად გახდა ხოლერით 181, მოკვდა 74; მარტო ნეაპოლში 84 გახდა ავად და 49 მოკვდა. ხელმწიფე რამდენიმე დღით ნეაპოლში წავიდა.

# ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 ასსათამდინ. საბებიო, საქალებო და სა-

---

ყმაწვილი ბიჭი ჩამოხტა ანგარიშმიუცემლივ, დადგა იქავ და მკვდარს დამგზავსებული, გაქვავებული შეჰყურებდა ხალხს, რომელიც იმის თვალში ბუზსავით ირეოდა.

პატარძალს მიეხვივნენ დედა-კაცები, ჩამოსვეს და ბოჩასთან მიიყვანეს, რომელმაც მოიხადა ქუდი, ახსენა ღმერთი და უთხრა:

— ბაკურთხოს უფალმა. ხელი გამოართვა და მაშინვე დაუმატა:—ბედჩაუ, მთლად გაყინულხარ... მთლადა კანკალებ.

ამ სიტყვებთან ერთად იმან მიაშველა მეორე ხელიც და ქალის ნაზს ხელებს ისე დაუწყო სრესა თითქოს მათი გათბობა უნდოდა. მერე მოაშორა ერთი ხელი, გაუშვირა იქავ მდგომს ბელას და საცოლეს ხელი ხელში ჩაუდო.

— უფალმა შეგაერთათ, კაცმაც ნუ გაგაშორებსთ!—მტკიცედ წარმოსთქვა მოხუცმა.

ამ სიტყვებზედ ქალი თითქოს უმეტესად გაჟრჟოლდა და ქშენას მოუმატა, ონისე-კი წატორტმანდა, მაგრამ იქავ მყოფმა ვიღაცა კაცმა დაიჭირა. ხალხმა დაიძახა „ჯვარული“ და მეფე-დედოფალი საყდარში შევიდენ, სადაც შემოსილი მღვდელი ელოდათ და ბოჩა-კი შვილს მიუბრუნდა.

— რაი მოგსვლია?—ჰკითხა იმან და გამომცდელის თვალით დაუწყო ყურება.

— არც რა,—მოკლედ უპასუხა ონისემ და თავი დალუნა, რადგანაც მამის ცქერისათვის ვერ გაეძლო.

— რაილა არც-რა, რომ ადამიანის ფერი აღარ გაძევს და ფეხზედაც ძლივსღა სდგეხარ?

— შგუნებოდ რასმე შევიქენ.

— შგუნებოდ?—გააგრძელა მამამ და კიდევ დააკვირდა.—მაშ ქორწილში რაი გინდა? შინ წადი და დაწექ... ხელის-მომკიდედ სხვა იქნება ვინმე.

ამ ლაპარაკში ჩამოერივნენ ბელას ნათესაობა, დაუწყეს ონისეს ხვეწნა რომ ამისთანა დროს თავი არ დაენებებინა და თვისი მეგობარი ბელა მარტოკა არ დაეგდო, მაგრამ ონისეს გაუხარდა რომ მისთვის მეტად სატანჯავს სურათს მოშორდებოდა და თავის უბედურებას თვალით მაინც აღარ უყურებდა. გაბრუნდა და ლასლასით გასწია თავიანთ სახლისაკენ, სადაც ბნელა «საწოლში» პირქვე დაეგდო.

ბოჩა-კი შევიდა და ჯვარის წერასთან ერთად უყურებდა პირ-ბადე ჩამოფარებულს ქალს, რომელსაც წამ და უწუმ აჟრჟოლებდა და ხან გამოშვებით ქშენას ძალზედ უმატებდა.

რამდენიმე კაცი, რომელიც ბოჩასთან იდგენ, მიუბრუნდებოდენ მოხუცს და გულმტკივნეულად ეუბნებოდენ:

— ბეჩავი, როგორ შესცივნია?..

მაგრამ, ბოჩა პასუხის მაგივრად, შუბლზედ ხელს გადაისვამდა და ისეც შეჭმუხვნილს წარბებს მეტად შეიჭმუხვნიდა.

ჯვარის წერა ჩვეულებისამებრ მიდიოდა: ონისეს მაგივრად ხელის-მომკიდედ სხვა ვიღაცა ყმაწვილი ბიჭი გამოიყვანეს. ყველაფერი მომზადდა. მღვდელი მივიდა ჯერ კაცთან და ჰკითხა: სურვილით ირთავს ამ ქალსა და სურს ჯვარის წერა თუ არა? კაცმა გაიღიმა, შერცხვა და თავის დაქნევით თანხმობა გამოაცხადა. მერმე ამავე კითხვით მიუბრუნდა ქალსა, რომელსაც სიცოცხლის ნიშანი მარტო სუნთქვაზედ და მხრების მოძრაობაზედ ეტყობოდა.

ქალმა პასუხის მაგივრად მარტო თავი დალუნა და მის მაგივრად სხვა დედა-კაცებმა, ყოველთვის სხვის მაგიერ მოპასუხეთ,—ყაყანი დაიწყეს:

— ჰაი, ჰაი, რო სურს!.. რაილა კითხვა უნდა?.. თუ არ სდომოდა, აქ რაღად მოვიდოდა?.. ართმევდენ ერთმანერთს სიტყვას, მაგრამ ძიძია-კი ჩუმად იყო.

— მაშ შენის ნებით იწერ ჯვარსა?—განიმეორა მღვდელმა.

— თავის ნებით იწერს, ჩემო ყველაო!--თორემ მოძალადე ვინა ჰყავს,--მოისმა ისევ დედაკაცებისაგან და დაკმაყოფილებული მღვდელი შეუდგა მეშვიდე საიდუმლოს აღსრულებას.

ა. მოხნუბარიძე.

(გაგრძელება)

ბავშვთა ავადმყოფობის საწამლავლად; ადამიანცი — 9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლავლად; ბენკლევსკი — 10—11 საათამდე. — სასირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილის და ყურის ტკივილის საწამლავლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისის და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა: გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე სირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლავლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლქფსონი კბილის ტკივილის საწამლავლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 16 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე 1884 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— —1 გირ. 5 კ.

ქართული ფქვილისა: პირველის ხარისხისა— —1 გ. 2½
მეორისა— — —1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:
პირველი ხარისხის —1 გ. 4½
მეორისა— — —1 გ. 3 კ.
მესამისა— — —1 გ. 2

ჯვარის-მამი პური:
პირველი ხარის. ლავაში 1 გ. 4½
მეორის ხარის. ლავაში 1 გ. 3½
მესამისა — — —1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:
პირველის ხარისხისა—1 გ. 7 კ.
მეორისა— — —1 გ. 6 კ.
სუკი . . . —1 გ. 14 კ.
ცხვრის ხორცი —1 გ. 7 კ.

ღორის ხორცი:
პირველის ხარისხისა—1 გ. — კ.
მეორისა— — —1 გ. — კ.

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათ"ედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ ᲓᲐ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი

დოქტორი რეიხი ხელ-ახლავ მიიღებს **თვალებით ავადმყოფებს** აგვისტოს 15-დამ (ძველი არსენალის ქუჩა № 17) დილის 9—10 საათზე. (6—5)

**პანსიონი ა. მირზაშვილისა.**

გადავიდა ელიზავეტინსკის ქუჩაზედ, ტერ-სააკოვის სახლებში, № 114.

მოწაფეთ მიღება სექტემბრის 1-დგან დაიწყობა. (10—2)

**კბილის ექიმი**

**ბ. არნშტეინი**

მიიღებს ავადმყოფებს დილით 10-საათიდამ საღამოს 6-ს საათამდე გოლოვინის პროსპექტზედ, მირზოევის სახლში, რომელიც უწინ ბელოვისა იყო. (10—7)

**ვისრამიანი**

**და**

**განდეგილი**

პოემა თ. ი. ჭავჭავაძისა

ისყიდება ,,წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიაში, სადაც ჟურნალ ,,ივერიის" რედაქციაა. (სიმონსონოვის ქუჩა, ნაზაროვის სახლი 1-ლი გიმნაზიის უკან.)

ფასი ,,ვისრამიანისა" 1 მან. 50 კ.
გაგზავნით — — — 1 მან. 70 კ.
,,განდეგილისა" — „ 15 კ.
გაგზავნით — — — — — 20 კ.

წიგნის მაღაზიებს ნაკლებად დაეთმობათ. (10—3)

ინგლისის მაღაზიაში თმის-ამომყვანი მაკ-მასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—62)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

გამოვიდა
ცალკე წიგნად
**სამგვარი სიყვარული**
მოთხრობა
აკაკი წერეთლისა
(„დროების" რედაქციის გამოცემა)
ფასი 30 კაპ.

(ვინც ორ ეგზემპლიარზედ მეტს იყიდის ერთბაშად, 10% დაეთმობა.)

წიგნი ისყიდება **თბილისში** გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, შავერდოვის საავგენტოში და ჩარკვიანის მაღაზიაში. **ქუთაისში** ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. ბათუმში, მოსე ნათაძესთან, **თელავში**, საზოგადოების დეპოში. ერთბაშად ყიდვა შეიძლება აგრეთვე «დროების» რედაქციაშიაც. (10—3)

ვაჭრობა სადებავებით

ქავკასიის ამხანაგობისა (გრაფის ქუჩა მუზეუმის პირდაპირ.)

**სადებავები** ხმელი და თხელი შეზავებული ზეთით.

**ლაქი** ზეთიანი და სპირტისა, სხვა-და-სხვა გვარი **ხანგალი** (კისტი) და ყოველნაირი კუთვნილებანი სადებავით ვაჭრობისა — აქვე შეიძლება იშოვონ ერთგვარი **თხელი ნივთიერება**, რომელიც სინოტიეს აცილებს თავიდამ. ხე, ქვა ანუ აგური, ამ ნივთიერებით დაფარული (Enduit hydrofuge) — მიუკარებელია სინოტიესათვის.

სხვა ქალაქებიდამ მოთხოვნილებანი კმაყოფილდებიან დაუყოვნებლად. (70—47)

საკლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი საგანგებო ინგლისის მაღაზია. იქვე ავრებული სხვა-და-სხვა გვარი კალმები ყოველის «ხელისათვის» — 25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, ფუნჯი, კალმები, ზუმფუჩიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთლი, სალესი, ცარცები ჭურჭლის საწმენდ (ზორკსი) თეორებისათვის, ბუტარა ხელები იატაკისათვის, კლიონკები, ტასტები, საგარძლები, სარკეები, საკრეფლები, ზეზმები, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერანები, მზის-სათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეჩნები, ნემსები, მაგნიტები, სვისტოკი, ბომბი, ქამრები, სარტყელები, პრობკები, საპრობკები, კრანები, ფილტრები, შპრიცები, თავისი; ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაგნიტოში, კრაგები, საქამო ქაღალდი კატერ-გლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

კატალოგი — 20 კ. (100—1)

## აფთიაქი

**აივაზოვისა** გადავიდა ერევნის მოედანზე სამოქალაქო სახლში.

არენდატორი **მ. ალმუროვი.** (10—5)

**არწრუნისეულ ქარავსლაში**

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—21)

*Доз. ценз. Тифлисъ, 24 Августа 1884 г.* სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი